

უილიამ შექსპირი

მაკბეთი

(სპექტაკლი ორ მოქმედებად)

პიესა ითარგმნა დაფიქსირდა დოიაშვილისთვის
თარგმნა მანანა ანთაძე-ციციშვილმა
პრემიერა შედგა 2009 წლის 12 თებერვალს
ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის
თეატრში



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2014

ედღენება დოის

შექსპირის ეს ყველაზე შავბნელი და სისხლიანი პიესა, თან საოცრად პოეტური, დათო დოიაშვილის თხზვნით ვითარგმნე, მისი სპექტაკლისათვის. დოისთან მუშაობამ მომაგონა ჩემი ცნოვრების უმშვენიერესი დრო, მისეილ თუქანიშვილის გვერდით გატარებული წლები, როდესაც ცნადად ვგრომობდი, რა ძალა აქვს თეატრს და რა ბედნიერებაა, რომ მონაწილეობ იმ იდუმალებით მოცულ პროცესში, რასაც სპექტაკლის დაბადება ჰქვია.

საოცარი რამ არის შექსპირის გენიალურ ტექსტთან ურთიერთობა, რომელიც, ერთი დიდი ბრიტანელი პოეტისა არ იყოს, მუდმივად უთარგმნელი დარჩება, რადგან ინტერპრეტაციას დასასრული არა აქვს. სწორედ ამ კონტექსტში მსობლაგდა მოუსვენარი დოი, რომელიც გამუდმებით „იხრიკებოდა“ ინგლისურ ტექსტში და მთხოვდა სიტყვებს. ყმოციით დატვირთულს, პოეტურს, კოდის მატარებელ ციმციმა სიტყვებს. არ ვიცი, ეს როგორ გამოგვივიდა, მაგრამ იმისათვის, რომ „ბნელში ნათელი“ მეტი განვიცადეთ, ვიდრე „ნათელში ბნელი“, მაღლობელი ვარ.

მთარგმნელი

რეჟისორი და სცენოგრაფი – დავით დოიაშვილი
კოსტიუმების მხატვარი – ანანო მოსიძე
ქორეოგრაფი – კონსტანტინე ფურცელაძე
კომპოზიტორი – ნიკა მემანაშვილი
გიდუო პროექტის რეჟისორი – ნინო ლაბიაშვილი
მხატვარი-გამნათებელი – ია ნადირაშვილი
ხმის რეჟისორი – ემზარ ბეგიაშვილი

მოქმედი პირნი და შექმნულელებანი:

დანკანი:	ალექო ბეგალიშვილი
მალკოლში:	ტატო ჩახუნაშვილი
დონალბენი:	გიორგი მოძმანაშვილი
მაკბეთი:	თორნიკე გოგრიჭიანი
ბენკო:	იმედა არაბული
მაკდაფი:	კახა კინწურაშვილი
ლენოქსი:	გიორგი ვარდოსანძი
როსი:	დავით ბეშიტაიშვილი
ლედი მაკბეთი:	ბუბა გოგორიშვილი
	ნანკა კალატოზიშვილი
ლედი მაკდაფი:	ნანა ბუთსუნი
კუდიანები:	ანა ალექსიშვილი
	ნანა ბუთსუნი
	არჩილ სოლოღაშვილი

ბირველი მოქმედება

1 კუდიანი: ჩვენ სამნი ისევ როდის შევხვდებით, როცა იქუნებს, გაიელვებს თუ გაწვიმდება?

2 კუდიანი: არა, ეს ამბონება რომ დამთავრდება, გამარჯვებული ცხადი გახდება.

3 კუდიანი: ეგ მზის ჩასვლამდე უკვე მონდება.

1 კუდიანი: სად უნდა შევხვდეთ?

2 კუდიანი: ტიალ მინდორზე.

3 კუდიანი; ჰოდა, მანდვე შევხვდებით მაკბეთს.

დანკანი: ეს ვინ არის?

ეს სისხლიანი კაცი ვინ არის? ისეთ დღეშია, აუცილებლად ეცოდინება აჯანყების ცხელი ამბები.

მალკოლმი: ამ მეომარმა, ვით შეჰფერის ერთგულ ჯარისკაცს მტრისგან დამიცვა, ტყვედ ჩაგარდნას გადამარჩინა.

უამბე მეფეს, რა ხოცვა-ჟლეტას შეესწარი შენ ბრძოლის ველზე.

მეომარი: სათუთ იყო ჯერ ყველაფერი.

დანკანი: სათუთ იყო?

მეომარი: აჯანყებულებს ბედი წყალობდათ, მაგრამ გამოჩნდა გმირი მაკბეთი.

ის ბედისწერას შეებრძოლება...

კაფავდა ყველას, მიიწევდა უღირს მონისკენ, როცა მიეჭრა, გადაუხო ტანი შუაზე, ხოლო თავი კი ჩვენი კოშკის წვერზე დაარჭო.

დანკანი: ყოჩაღ, მამაცო ბიძაშვილო! ღირსო რაინდო!

მეომარი: მეტს ვერას გეტყვით, გონებას ვკარგავ, ჩემს ჭრილობებს შეკლა სჭირდება.

დანკანი: ექიმი ჩქარა!

ეგ ჭრილობებიც ისევე გამკობს, ვით საუბარი.

1 კუდიანი: ჯარისკაცი და მსლებლები გადიან,
შემოდის როსი.

მალკოლმი: მამავ ბატონო, ღირსი თენი როსი მობრძანდა!

როსი: ღმერთი იყოს მეფის მფარველი!

დანკანი: ღირსო თენო, საიდან მოდინარ?

როსი: ფაიფიდან, მეფეო.

სადაც იმდენ ხანს იფრიალეს ნორვეგეთ დროშებმა,
რომ მათმა ქროლვამ ჩვენს ხალხს ღამის სურდო შეჰყარა.
რიცხვით უთვალავ, კარგად გაწვრთნილ ნორვეგეოულ
ჯარს,

მყისვე მიემხრო მუხანათი თენი კოვდორის

და იყო ბრძოლა საშინელი, ვიდრე მაკებეთმა,
ო, რა საქმროა თმის ქალღმერთ ბელონასათვის,
იმ მოღალატეს საკადრისად არ უბასუხა.

დანკანი: საბოლოოდ დასრულდა იმით,

როსი: რომ გავიმარჯვეთ.

დანკანი: კოვდორის თენი ველარასდროს ვერ გვიღალატებს.

ანლა წადი. გამოაცხადეთ, რომ სიკვდილით ვსჯი.
მისი წოდება ებოდოს... მაკებოს.

მალკოლმი: რაც მან დაკარგა, ის მაკებეთმა დაიმსახურა.

კუდიანები: შვიდი დღე და შვიდი ღამე

სელი ვერ გაანძროს,
ფენი ვერ გაანძროს,
დღისით ძილი დაკარგოს,
ღამით ძილი დაკარგოს,
ჩამოჭენეს და გამოშრეს,
ჩალასავით გამონმეს...

ნახეთ, რა მაქეს,
რა გაქეს, რა გაქეს.

ერთი ლოცმანის ცერობა,
არაგინ იცის ეს კაცო,
ცოცხლებში რომ არ წერია,
დაფდაფებია! მოდის მაკბეთი!

ბენკო: ფორესამდე კიდევ შორია?

მაკბეთი: ასე ბნელი და ასე ნათელი დღე არ მინახავს.

ბენკო: ეს ჯოჯოები ვინ არიან, როგორ მორთუვლან.

ადამიანები არ უნდა იყვნენ, თუმცა კი გვანან.

ცოცხლები ხართ? არ იტყვი, ვინ ხართ?

გხედავ, რომ გესმით.

ერთად მიიღეთ თხელ ტუჩებზე გამხმარი თითი.

1 **კუდიანი:** სალამი მაკბეთს, გლამზის თენს!

2 **კუდიანი:** სალამი მაკბეთს, კოვდორის თენს!

3 **კუდიანი:** სალამი მაკბეთს, მომავალ მეფეს!

ბენკო: მოჩვენება ხართ თუ არსებობთ სინამდვილეში..

ჩემს მეგობარს ჯერ მიმართეთ მისი წოდებით.

მერე აუწყეთ – მომავალში ელის დიდება.

მე რას მეტყვი, რა მელოდება?

1 **კუდიანი:** სალამი!

2 **კუდიანი:** სალამი!

3 **კუდიანი:** სალამი!

1 **კუდიანი:** მაკბეთზე მცირე და უფრო დიდო!

2 **კუდიანი:** არც ისე ბედნიერო,

მასზე მეტად ბედნიერო!

3 **კუდიანი:** შენი შვილები გამეფდებიან,

ოღონდ მეფე შენ არ იქნები.

კუდიანები: დიდება მაკბეთს. დიდება ბენკოს!

დიდება ბენკოს და მაკბეთს!

ყველგან დავერვიგართ – წყალზეც, ხმელეთზეც.
ასეთი სამი მაჩხიბი და ვართ.

ბენკო: ბალახმა ტვინი დაგვიბინდა და მოგველანდა —
„დიდება მაკბეთს, კოვლორის თენს“!

მაკბეთი: „დიდება ბენკოს, შენი შვილები გამეფდებიან“!

კუდიანები: სამი ბრუნი უკუდმა, სამი ბრუნი წადმა
სამჯერ სამი ცხრა არი, გასამდა, გრძნება გაჩნდა!

მაკბეთი: „შენი შვილები გამეფდებიან“!

ბენკო: შენ მეფე იქნები!

მაკბეთი: და კოვლორის თენი. ასე არა თქვეს?

ბენკო: ზუსტად მასე თქვეს. მაგ სიტყვებით.

კუდიანები: უკაცრაგად, უკაცრაგად.
ბნელში ნათელია, ნათელში ბნელა,
ამ დამპყლ ნისლში მოძრაობთ ყველა!

1 კუდიანი: შემოდის როსი.

როსი: ო, რა დიდი სიამოვნებით ისმენდა მეფე
შენი გმირობის ამბავს, მაკბეთ. როცა უამბავს,
როგორ იბრძოდი ამბოხებულთა წინააღმდეგ,
მას დაეუფლა გაოცება და აღტაცება.
დღემ დაღამება ვერ მოასწრო, მოვიდა ცნობა,
რომ ახლა უკვე შეუტეე ნორვეგთა ლაშქარს.
შეუბოვრად, ფენდაფენ სდევდი სიკვდილის ღანდებს.
მაცნეს ზედიზედ მოჰყვებოდა ახალი მაცნე.
წვრილად მოუთხრეს, ვით იხსენი ჩვენი სამეფო.
არ ილეოდა შენი ქება მეფის წინაშე.

ბენკო: როგორც წყალს, თურმე მიწასაც ჰქონია ბუშტები.

ბუშტები იყვნენ. ნახე როგორ გაუჩინარდნენ!

მაკბეთი: მოჩვენებითად ხორციელნი ჰაერად იქცნენ,
ისე გაქრნენ, ვით ამოსუნთქვა. ქარს შეუერთდნენ!

როსი: მეფის სახელით მე გაცხადებ კოვლორის თენად.
ყველაზე უფრო ღირსეული თენებთა შორის.

მაკბეთი: კოვლორის თენად?!

ისეგ არ გჯერა, რომ ტახტზე ავლენ შენი შვილები?

ბენკო: ამბობენ რომ ბევრჯერ მომნდარა,

ბნელეთიდან მოგზავნილები,
იმისთვის, რომ ხელში ჩაგვიგდონ,
რადაც სიმართლეს მართლაც ამბობენ.
ამით ჩვენ მწარედ ვტყუვდებით
და თავს საშინელ საფრთხეში ვიგდებთ.

მაკბეთი: თუ ბედს სურს ჩემი მეფობა,
ამაზე ბედმა თვითონ იზრუნოს,
მე რატომ უნდა ჩაგერიო!

დანკანი: კოვდორის თენი უკვე დასაჯეს? სად არიან,
ვისაც ეს საქმე დაგვაგალე.

ენგუსი: ბატონო ჩემო,
ისინი ჯერ არ დაბრუნებულან.

მალკოლმი: მე ვნახე კაცი, ვინც დაესწრო სიკვდილით დასჯას.
ბოლო წამს თენმა აღიარა თურმე დალატი.

დანკანი: აღიარა თურმე დალატი.

მალკოლმი: ის მძიმე ცოდვა მან გულწრფელად მოინანია.

დანკანი: მოინანია.

მალკოლმი: თქვენს მოწყალებას პატიება, შენდობა სთხოვა
და ღირსეულად განუშორა ამ წუთისოფელს.

დანკანი: კაცის სახეზე ვერასოდეს ამოვიკითხავ,
რა უდევს გულში.

ვისაც ყველაზე მეტად ენდობი, ის გადაგჩენავს.
ო, ღირსეულთ ნათესავო! კეთილი იყოს შენი მოსვლა.
ჩემი ნერვი ხარ. ვიზრუნებ, რათა გაძლიერდე.
ძვირფასო ბენკო, შენც ასევე დაიმსახურე ჩემი მადლობა,
მოდე ჩემთან, გულში ჩაგიკრა სიყვარულით.

ბენკო: მეც მინდა ასე გაგიფურჩქნო, დამიჯერე,
მოსავალი უხვი გექნება.

დანკანი: უხვი მაქვს მართლაც სიხარული, იმდენად ბევრი,
რომ მწუხარების ცრემლი სჭირდება.

ჩემო შვილებო, მეგობრებო და ანლობელონო,
ჩვენ გადავწყვიტეთ, ტახტის მემკვიდრედ...

ჩვენი უფროსი ვაჟი – მაღკოლმი გამოფაცხადოთ.

ამიერიდან ის იქნება პრინცი კამბერლენდისა.

მაღკოლმი: პრინცი კამბერლენდისა!

დანკანი: ამიერიდან შენ იქნები პრინცი კამბერლენდისა.
თამამად!

მაკბეთი: „ისინი სწორედ გამარჯვების დღეს შემხვდნენ. ყველაფერი
ზედმიწვევით ზუსტად იცოდნენ, რამაც დამარწმუნა, რომ
უბრალო მოკვდავნი არ უნდა ყოფილიყვნენ.

უეცრად გაქრნენ.

გონს მოსვლა გერ მოვასწარი, რომ მეფის ხალხი მოვიდა
და გამოძაცხადეს კოვდორის თენად. იმ სამმა უცნაურმა
დამაც ხომ სწორედ ასე მომმართა ცოტა უფრო ადრე.

მერე თქვეს, დიდება მაკბეთს, მომავალ მეფესო.

გადაგწყვიტეს ამბავი შეგატყობინო, ჩემო ძვირფასო.

რატომ არ უნდა იცოდე, სულ მალე რა პატივი გეკლის.

თუმცა ჯერ გუელში დამარხე და მშვიდობით“.

ლუდი მაკბეთი: გლამზიც ხარ, უკვე კოვდორიც,

ცოტა ხანში ვახდები მეფეც,

მაგრამ სიკეთით საგსე არის შენი ბუნება

და ხელს შეგიშლის.

ძალაუფლების სიყვარული თუ გამოძრავებს,

წმინდანი უკვე ვეღარ იქნები.

ყორანმა უკვე ხმა დაკარგა, ისე დასჩხავლა

მეფე დანკანის მობრძანებას ჩემს ცხენე-კოშკში.

მოდით, სულელებო, ბნელ ზრახვათა წამქეხებულნი,

წამართვით სქესი და ამაგსეთ

სისასტიკით, დაუნდობლობით.

ძარღვებში სისხლი შემიდევდეთ.

მომიკალით სინდისის ქენჯნა,

რომ არ შემიბყროს სინანულმა,

არ შემაჩეროს და მთავარ მიზანს არ ამარიდოს.

რძის მაგივრად ძუძუებში ბალღამი მომეც.
შენ გეუბნები, უხილაგო, ვინც ადამიანს
მკვლელობაში აგულიანებ და ბოროტებას
თესავ ყველგან. უფრო მეტად ჩაშავდი ღამეე,
ჯოჯოხეთის კუბოს დაემსგავსე. თვით ჩემი დანის
ბასრმა წვეტმაც ვერ დაინახოს, რა ჩაიდინა.
ზეცამ ვერ შეძლოს შემამჩნისო დედამიწაზე,
და არ იყვიროს „შეჩერდიო!“.

დიდო გლაშჩე! დირსო კოვდორო!
ორივეზე მეტად ძლიერო,

შენმა წერილმა დამავიწყა უაზრო ყოფა.
გვრძნობ, დიდებული მომავალი დადგება მალე.

მაკბეთი: დანკანი ღამით აქ იქნება.

ლედი მაკბეთი: და როდის მიდის?

მაკბეთი: დილით, ასე აბირებს.

ლედი მაკბეთი: არ გათენდება მაგისტოვის დილა.

გადაშლილ წიგნს ჰგავს შენი სახე.

უცნაურ ამბავს წაიკითხავს მაგ წიგნში ყველა.

ეს რომ არ მოხდეს, გაიღიმე,

შენი თვალები, შენი ენა, შენი ხელები,

უმანკო ყვავილს დაამსგავსე.

შიგ ჩააბუდე ოდიონდ ასპიტი,

სტუმარი მოდის. ჩვენი ვალია, კარგად დაგზვდეო.

სხვას ყველაფერს მე გაგაკეთებ.

მაკბეთი: ამაზე მერე ვილაპარაკოთ.

ლედი მაკბეთი: ოდიონდ სახე ნუ ჩამოგტირის, შიში დაფარე,

ხომ ვითხარი, ყველაფერს მე გაგაკეთებ.

დანკანი: შეხედეთ, ჩვენი სასურველი მასპინძელი!

ვინც პატივს გვცემს და ისე ვუყვარვართ,
რომ ზოგჯერ გვაწუხებს.

დავიჯერო, სიყვარულის ბრალი არის ეს ყველაფერი,
ნურაფერს მეტყვი, მხოლოდ ლოცვებში მომიხსენიე.

ლუდი მაკბეთი: ნებისმიერი სამსახური, რასაც ჩვენ გიწევთ,
მეტად მცირეა და უმნიშვნელო, იმ პატივთან შედარებით,
თქვენი ბრწვინვალება რომ იჩენს ჩემი ოჯახის მიმართ.
ძველიც გვანსოვს და ახლა ახალიც წედ დაერთო.
ამიერიდან, მართლაც ლოცვებში მოგიხსენიებთ.

დანკანი: სად არის კოვდორის თენი?

სად არის მაკბეთი,

ფენდაფენ გსდით. მაგრამ ვერ დაგეწიეთ,
შინისკენ ისე მოუხმობდა მას სიყვარული,
დაგვასწრო მისგლა.

დავიჯერო, სიყვარულის ბრალი არის ეს ყველაფერი?

ლუდი მაკბეთი: რაც კი რაიმე გაგვაჩნია თქვენს
ქვეშევრდომებს,
ჩვენი თავი თუ სხვა რამ სიმდიდრე,
თქვენგან გვაქვს ყველა ნაბომები
და იბრუნებთ ისე, ვით გეამებთ.

დანკანი: ჩემო კეთილო და სასურველო მასპინძელო, რას იზამ,
ამაღამ შენი სტუმრები ვართ. გაგვიძენი სასახლისაკენ.

ლუდი მაკბეთი: მხოლოდ თქვენს შემდეგ.

მაკბეთი: რაც უნდა მონდეს, ამით თუ მორჩა ყველაფერი,
მაშინ აჯობებს, რომ სწრაფად მონდეს.

ასეთ მკვლელობას რომ შეეძლოს, არაფერი გამოიწვიოს
სასურველი შედეგის გარდა და კაცის მოკვლა
იყოს მხოლოდ ერთი დარტყმა, სხვა არაფერი...
მორჩა, გათავდა.

ის ახლა ჩემი სტუმარია. და ორმაგად დაცული არის,
ერთი იმიტომ, რომ ნათესავი ვარ, ქვეშევრდომი.

ეს მიზეზია, ხელი ავიღო განზრახვაზე;
მეორეც ის, რომ მასპინძელი ვარ.
ჩემი ვალია, დავიფარო მკვლევლებისაგან.
ესეც რომ არა, მეფე დანკანი კეთილია, ღირსებით საგსე.
ანგელოსთა კეთილზმოვანი საყვირის მსგავსად,
ტკბილად ჩაგვესმის მისი საქმენი.
სასტიკი წყევლა თავს თრმაგად გადაატყდება,
გინც მას სიცოცხლეს მოუსწრაფებს.
შეიცოდებენ ვით უმწეო და უცოდველ ჩვილს.
თვით უსწრაფესი ზეცოური ქერუბიმები
მიმოფანტავენ ქვეყანაზე საზარელ ამბავს
და აზვირთდება ცრემლი ისეთი...
დედამიწას შეაზანზარებს. არა, მე ამას ვერ გავაკეთებ.

ლუდი მაკბეთი: შენ თუ მას მოკლავ,
აზვირთდება ცრემლი ისეთი,
რომ დედამიწას შეაზანზარებს?!

მაკბეთი: მე ამას არ გავაკეთებ.

ლუდი მაკბეთი: ვანშამს ამთავრებს. რატომ დატოვე?

მაკბეთი: მიკითხა?

ლუდი მაკბეთი: როგორ ფიქრობ, არ გიკითხავდა?

მაკბეთი: უნდა მოვეშვათ ჩვენ ამ საქმეს. ასე აჯობებს.

სულ ანღანან ისეთი პატივი მარგუნა,

რომ ხალხის თვალში შევიმოსე სხვა ბრწყინვალეობით.

არ მსურს მოგაკლო ელვარება ამ ჩემს დიდებას.

ასე უცებ ავიღო და ქარს გავატანო.

ლუდი მაკბეთი: კარგი.

მაკბეთი: მოდი ჩემთან. მოდი ჩემთან. მოდი ჩემთან.

ლუდი მაკბეთი: როგორც აღმოჩნდა, ჩვენი იმედი მთავრალი
ყოფილა.

შენ წამოდექი, ტანთ ჩაგიცვამს, მას კი ჯერ სძინავს.

რომ გაიღვიძებს, რას დაინახავს – რისი მიღწევაც

სულ იოლად შეიძლება, განუნებულა,
აღარ არის, სადღაც გამჭრალა,
შენს სიყვარულსაც ასე შეგნედავ მე ამას იქით.
რატომ გაშინებს, ისეთივე გმირი იყო შენს საქციელში,
რაც სურვილში ხარ?

გსურს მოიპოვო ამა ქვეყნის ყველა საუნჯე,
მაგრამ ვერ ბედავ, ასე მნდალი ხარ?
მინდას ამბობ და იქვე ამბობ არ შემიძლიას,
როგორც ერთ საწყალ კატაზეა ძველი ანდაზა.

მაკბეთი: მე ყველაფერი შემიძლია, რაც კაცს შეპყდების
და ვინც მეტს სჩადის, იგი უკვე კაცი არ არის.

ლედი მაკბეთი: მაშ მსეცი იყო, ვინც ეს ამბავი შენი პირით მე
გამომხილა?

რომ აპირებდი ჩაგედინა, ხომ კაცი იყავ
და თუკი ჩაიღენ, კაცზე მეტი კაცი იქნები.

არც დრო ვიცოდით, არც ადგილი.
ორივეზე უნდა გვეზრუნა.
ანლა კი, როცა ყველაფერი თავისთავად,
თვითონ მოგვარდა,
უკან ისევე, არ შეგიძლია?!

მე კარგად ვიცი, შვილი ტუბილია,
გამიზნდია, ძუძუ მიწოვებია,
მაგრამ შევძლებდი გამომეგლიჯა პირიდან ძუძუ,
ტვინი მისი ძირს დამენთხია,
თუკი შენსავით დაგიფიცებდი, რომ ამას ვიზამ.

მაკბეთი: რომ ვერ მოვიგოთ ჩვენ ეს საქმე?

ლედი მაკბეთი: მაშინ წავაგებთ.

გამბედაობა მოიკრიბე და არ წაგაგებთ.
როცა დანკანი დაიძინებს, ორივე მსახურს
ისე დაგათრობ, არც ერთს გონი აღარ შერჩება.
მეხსიერება, ტვინის დარაჯი, აუოროთქლდებათ.
გაგორდებიან მკვდრებივით და დაიძინებენ.
უპატრონოდ დარჩენილ დანკანს მე და შენ ერთად
რას ვერ ვუწამთ. პასუხს ვინ აგებს?
მისი დაცვა, მთვრალი დარაჯნი.

შაკბეთი: შენ უნდა გყავდეს მხოლოდ ვაჟები.
თუ მსახურებს სისხლით მოვთხუზნით და იარაღად
მათ ნანჯლებს ვინმართ, ეჭვს ნომ იმათზე მიიტანენ.
თანანმა ვარ, ეს საზარელი საქმე ვიკისრო.

წავიდეთ ჩქარა, დროს დავცინოთ, ვიმხიარულოთ.
რაც ცბიერ გულის სურს, ცბიერ სახეს ამოვაფართოთ.

შაკბეთი: ეს ნანჯალია, მე რასაც ვხედავ?

ტარით მოიწევს ჩემი ხელისკენ.
მოდო, შეგეხნო.

ვერა.

საბედისწერო მოჩვენებავ, შენ არ არსებობ.

ცნობიერების ნანჯალი ხარ,
აგწნებულნი ტვინით შექმნილი.

გწას მიმითითებ, საით წავიდე, რა იარაღი გამოვიყენო?

ვინ გონება ასულელებს ნეტავ ჩემს თვალებს
და აღბათ არა მხოლოდ თვალებს –

მთელი სამყაროს ნახევარი თითქოს უსულო ძილს მისცემია.
თავს დასტრიალებს საშინელი, ავი სიწმრები:

კუდიანების ზეიშია, მსხვერპლის შეწირვა
ფერმინდილი ჰეკატესათვის:

აი, ჩონჩხი-ჯალათი,
მცველმა მეგელმა გამოადგოდა. ავი ყმუილით
ძალაშესხმული.
მიიპარება, ვით აფხორცი ტარკვინიუსი,
რომ ადასრულოს უცილობლად, განზრანგა თვისი.

შენ დედამიწავ, შენ მაინც მუდამ მყარად იდექი!
ყურს ნუ დაუგდებ ჩემს ნაბიჯებს, საითკენ წავაღ.
პატარა კენჭმაც რომ არ გამოთქვას, თუ სად ვიქნები.
ჩამოაცილე შიშის ზარი დროის შეგონებას,
თუმცა შეჰფერის, რომ მასთან იყოს.

ვიდრე სიტყვებით ვიმუქრები, ის ცოცხალია,
ცივი სიტყვები აგრილებენ მხურვალე საქმეს.

ზარი მეძახის. მორჩა, წავედი.
ყურს ნუ დაუგდებ მის რეკვას, დანკან, იგი შენ გიხმობს,
რომ ვაგისტუმროს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში,
მორჩა, წავედი.

ლედი მაკბუთი: რამაც ისინი ასე დაათრო, მე ძალა მომცა,
იმათში ცეცხლი გაანელა, ჩემში აანთო.
მცველები ისე გაილეშენენ,
რომ ახლა წვრინვით დასცინიან მოვალეობას.

რა ხმაურია? გამოიღვიძეს!? ვერ მოვასწარით.
ხანჯლები ისე დაგაღაგე, აუცილებლად დაინანავდა.

დაძინებული მამაჩემს ჰგავს, თორემ ყველაფერს
თვითონ ვიზამდი. –
აი, ჩემი ქმარიც მოვიდა.

მაკბეთი: მე მოვრჩი საქმეს.

მე საქმეს მოვრჩი.

რა ხმა იყო, არ გაგივია?

ლუდი მაკბეთი: როდის?

მაკბეთი: ახლა!

ლუდი მაკბეთი: რომ შემთხვედი?

მაკბეთი: ჰო. ჩუ. იქ ვინ წევს. საშინელი სანახავია!

ლუდი მაკბეთი: სისულელეა ახლა უკვე მაგაზე ფიქრი,
რომ საშინელი სანახავია.

მაკბეთი: თითქოს მომესმა, ვიღაც ყვროდა,

„ველარასოდეს დაიძინებთ“,

„გლამზმა ძილი მოკლათ, კოვდორი ვეღარ დაიძინებთ,
მაკბეთი ვეღარ დაიძინებთ.“

ლუდი მაკბეთი: უსახურთ არარაობავე,

ხანჯალი აქ რაღად გინდა, იქ უნდა იყო.

მიდი, წაიდე და მცგელებიც სისხლით მოთხუბნე.

მაკბეთი: მეშინია. არ შემოდია.

ლუდი მაკბეთი: ნახე, ჭრილობებიდან ისევე სდის სისხლი. ნახე...

მაკბეთი: არ შემოდია!

ლუდი მაკბეთი: წავალ, მცგელებს სახეს გავუღამაზებ,

ეს ყველაფერი მათ რომ დაბრალებდეთ.

მაკბეთი: რა მემართება, რატომ მაშინებს ყველა ხმაური.

ამ ხელებს რა სჭირთ, რა?!

ლუდი მაკბეთი: ჩემი ხელებიც შენი ფერია, მაგრამ გული რომ
შენსას, გაგდეს, მე შემრცხვებოდა.

მაკბეთი: დიდი ნებტუნის თკანე ეყოფა ნეტავ,

რომ ჩამორეცხოს სისხლი ხელიდან. ვერა.

ჩემი ხელი იქით შეღებავს მწვანე წყალს წითლად.

უთვალავ ზღვებსაც, მეწამულს გახდის.

ლუდი მაკბეთი: წყალი! წყალი გვჭირდება,

ამ საქმისაგან ის ორივეს გაგვასუფთავებს

და ნახე როგორ დაგწყნარდებით! წყალი!

მეკარე: რა ამბავია, რა ამბავია! ჯოჯოხეთის მეკარე, ალბათ გასადების ტრიალში ბერდება. ახლავე! ეს ვინ მოსულა, მამალი? არა, გლეხი? ა, შენ ის გლეხი ხარ, თავი რომ ჩამოიხრჩვე? ნახე შენთვის რა მაქვს – ტილოები. დაგჭირდება. თფლში გაიწურები ა, ინგლისელი მეკრავი? ეგ რომელი, ფრანგული შარვლის ნაჭერი რომ მოიპარე? მოდი, მეკრავო, მოდი. შენი უთო როგორ გაფარვარდება! შენ ის არა ხარ, ტყუილზე და მართალზე ერთნაირად რომ იფიცებოდი? მოვისმინო? უფლის სახელით რამდენი ბოროტება ჩავიდენია. ალო! სამოთხეა? არ უშვებენ სასუფეველში ფარისეგლებს? სამაგიეროდ ჩვენთან უშვებენ! მობრძანდი!

ასეთი სიცივე ჯოჯოხეთში ნამდვილად არ იქნება, ესე იგი არც მე ვარ ეშმაკების კართან მეკარე. არადა, როგორ მინდოდა სწავდასწვა ჯურის ხალხისთვის კარი გამეღო, ია-ვარდით გზა მომეფინა და მარადიული კოცონისკენ გამქსტუმრებინა. ჰო, კარგი, კარგი, ვიცა, ერთი უბრალო მეკარე ვარ. მოგდივაარ!

შემოდის მაკდაფი. საშინელება! საშინელება!

მაკდაფი: განგაშის ზარი! ღალატია!

გამოიდგვიძეთ! ძილი დასთმეთ, სიკვდილი ნახეთ!

დონალბეინი: რა მოხდა?

მაკდაფი: მამათქვენი მოკლული არის.

დონალბეინი: როგორ, ვინ მოკლა?

ლედი მაკბეთი: რა ხდება? რატომ შეყარეთ მთელი სახლი, მოხდა რამე?

მაკდაფი: მეფე მოკლეს!

ლედი მაკდაფი: როგორ, ჩემს სახლში მოკლეს?

ბენკო: სადაც არ უნდა მომხდარიყო, სისასტიკეა!

მაკდაფ, თქვი, ტყუილია-თქო.

მაკბეთი: რატომ არ მოგკვდი, ვიდრე ამ ამბავს გავიგებდი.
რა ბედნიერი ვიქნებოდი. სისბუტაკე აღარ არსებობს,
პატიოსნებამ ძალა დაკარგა,
პატივყარილი დარჩა დიდება და ფუჭი სიტყვებად
გადაიქცა.

მალკოლმი: ცბიერ კაცისთვის თვალთმაქცობა იოლი არის,
მე ინგლისს მივდივარ.

დონალდბენი: ნუთუ ვერ ხედავთ, სწორედ აქ არის ბედისწერა
ჩასაფრებული.

მაკბეთი: სად იყო დაცვა. სად იყო მეფის დაცვა.

ბენკო: ლედი მაკბეთის მიხედვით!

მაკდაფი: დალატია!

მაკბეთი: იწვა დანკანი და გერცხლივით მზინავი სახე,
სულ ერთიანად სისხლში იყო.

მერე მკვლელები დაგინახე. ხანჯლები,
სისხლიანი, იქვე ეყარა... ვისაც ჩემსავით უყვარდა იგი...
სწორედ ასე მოიქცეოდა – დაცვას მოკლავდა.

ბენკო: მოდი, ყველანი გონს მოვიდეთ,
ვნებათადელება ჩვენი დაგაცხროთ,
დავსნდეთ ერთად და ეს მკვლელობა გამოვიძიოთ.

მაკბეთი: მოვინდომოთ და ყველაფერი კარგად იქნება
ჩემს წარმატებას თან მოყვება შენი დიდება.

2 **კუდიანი:** ესეც ბუნების საშინელი უკუღმა ბრუნვა.
ამბიციათ თუ დაგიმონა, ისე გაგძარცვავს,
სიცოცხლესაც არ დაგიტოვებს.

1 **კუდიანი:** გაირკვა ბოლოს, ეგ მკვლელობა ვინ ჩაიდინა.

3 **კუდიანი:** იქნებ მცველებმა, ვინც დანოცა მაშინ მაკბეთმა.

1 **კუდიანი:** მეფის შვილები, მალკოლმი, დონალდბენი,

2 **კუდიანი:** სადღაც უჩუმრად გაპარულან. ჰოდა, ეჭვი
მაგათზეც არის.

3 კუდიანი: ახლა მეფობა მაკბეთს ერგება,

1 კუდიანი: სკონში წაყვია, რომ აკურთხონ.

ჩვენს სამეფოში გვეყოლება ახალი მეფე,

2 კუდიანი: მაგრამ, ვაითუ, ძველი სამოსი უკეთ გვადგა, ვიდრე ახალი.

კუდიანები: დიდება მაკბეთს, ახალ მეფეს!

მაკბეთი: რა შეგვჩნა ხელში, არაფერი. რაა სურვილი,

თუ ვერ აღწევ კმაყოფილებას.

მოკლეული კაცის მშვიდად ყოფნა განა არა სჯობს

ჩვენს გაურკვეველ, ეჭვით საგსე ბედნიერებას.

ღეღი მაკბეთი: ბატონო ჩემო, განმარტოება შეგიყვარდა,
სევდიან ფიქრებს სამუდამოდ უნდა მოშორდე.

მაკბეთი: მოვშორდე? როგორ?

სულ ამერია ყველაფერი. თრი სამყარო ერთად შექცა.

ტანჯვაა ხვედრი აქაც და იქაც.

პურს ხომ შიშით ვჭამთ, დამღამობითაც

ძილს გვიფრთხობენ საზარელი მონგენებანი,

ჩვენს ასეთ ყოფას იმისი სჯობს, ვინც გავისტუმრეთ

და გაგაყოფეთ თან საფლაგში სულის სიმშვიდე.

ღეღი მაკბეთი: რაც მონდა, მონდა. აღარაფერი ეშველება,

მოიცილე სახეზე დარდი და ამ საღამოს

სტუმრებთან ერთად გამხიარულდი.

აი, მთავარი ჩვენი სტუმარი,

მის გარეშე რა უნაღოსო იქნებოდა მხიარულება.

ბენკო: როგორ იქცევა, უკვე დედოფალი ხარ.

ღეღი მაკბეთი: დღეს სახეიმო ვახშამი გვაქვს, ვთხოვ

დაგვეწვიო.

მაკბეთი: ბენკო!

ბენკო: დიას, მეფეო!

მაკბეთი: კაცთა სიაში შენ წერინარ?

ლედი მაკბეთი: აი ახლა სადმე მიდინარ?

ბენკო: დიას, მივდივარ.

ლედი მაკბეთი: შორს?

ბენკო: იმდენად შორს, რომ ვახშამზე უკვე თქვენთან ვიქნები,
თუ ჩემმა ცხენმა იზარმაცა, დავესესხები ერთ საათს ღამეს.

მაკბეთი: მწეგარს, ფინიას, ქოფაკს, სპანიელს, ნებისმიერს,
ბანჯგვლიანია თუ უბეწვო,
ჯიშიანია თუ უჯიში, სუყველას ერთად ძაღლს უწოდებენ.

აი შემდეგ კი მიდის დახარისხება:

ზოგი მარდია, ზოგი ნელი, ანდა ზარმაცი.

ვინ სახლს დარაჯობს, ვინ ნადირობს.

იმის მისედგით მოიქცევა თითოეული,

თუ რა ნიჭით დააჯილდოვა უხვად ბუნებამ,

თუმცა შემკრები სიტყვა ძაღლი – საერთო არის.

კაციც ასეა.

თუ არ წერინარ შენი მოდგმის სიის ბოლოში...

არაფერია.

ლედი მაკბეთი: თურმე ჩვენი ის წყეული ნათესავები,
გადახვეწილნი ინგლისსა და ირლანდიაში.

მამის მკვლელობას ისევე მაღავენ

შენი შვილი, ფლიენსიც მოდის?

ბენკო: დიას, მოდის.

ლედი მაკბეთი: ფლიენსიც მიდის,

წვეულებას ნუ დააკლდება.

მაკბეთი: ბენკო!

ბენკო: დიას, მეფევ!

მაკბეთი: ბენკო!

ბენკო: გამაგებინე, რა გინდა ჩემგან!

მაკბეთი: მშვიდობით.

ბენკო: მშვიდობით?

მაკბეთი: სადა ხართ? სადა ხართ?

მოგესალმებით ბატონებო!

ჩვენ სომ გუშინ ვილაპარაკეთ,

მე შემიძლია, კარგად იცით,

რომ სულ ადვილად მოვიცილო ბენკო თაფიდან,

მაგრამ ვერ ვიზამ, მეგობრები ჩვენ საერთო გვყავს.

იმათ გული რატომ ვატკინო და ამიტომ,

როცა მოკვდება, როგორც ანლობელს, გამოვიტირებ.

ანლა სომ მისვლით, დახმარება რისთვის მჭირდება.

მკვლელი: დიან, სერ!

მაკბეთი: ერთ საათში გეცოდინებათ, სად ჩასაფრდებით,

დღესვე, ამაღამ დამთავრდება, რაც უნდა მოხდეს.

ფლიენსი ანლაგს, მისი შვილი. ამ ბნელი დამით

მამის ბედი შვილმაც უნდა გაიზიაროს.

მკვლელი: დიან, სერ.

ლუდი მაკბეთი: გამაგებინე, რა გიდექს გულში?

მაკბეთი: მორიყლები, ბენკო და ფლიენსი.

ჯერ ორივე ცოცხალი არის.

ლუდი მაკბეთი: განა უკვდავი კაცი არსებობს?

მაკბეთი: მეც ეგ მამშვიდებს,

დაღამებამდე დამთავრდება შავბნელი საქმე.

ლუდი მაკბეთი: რომელი საქმე?

მაკბეთი: სჯობს ნუ იკითხავ, ჩემო კარგო.

როცა მორჩება, კმაცოფილი იქნები ფრიად.

1 **მკვლელი:** შენ, აქ, ჩვენთან ვინ გამოგეზავნა?

2 **მკვლელი:** ვინ?

3 მკვლელი: მაკბეთმა.

1 მკვლელი: მაკბეთმა? კარგი, იყავი ჩვენთან.

3 მკვლელი: ჩუმად, მკვლელებო, ცხენის ფეხის ხმა გესმით?

2 მკვლელი: ნეტა ვინ მოდის.

1 მკვლელი: ბენკო შვილითურთ.

3 მკვლელი: მოვიდეს რა! ჩვენ შზად ვართ.

ბენკო: ეი, მანდ ვინ ხართ? გამინათეთ.

მკვლელები: ეს კი მოგვკალით, შვილი გაიქცა.

წავიდეთ, ვუთხრათ მაკბეთს, რაც დაგვემართა.

მაკბეთი: მოგესალმებით, ბატონებო. გთხოვთ დაბრძანდეთ.

თავშიც, ბოლოშიც, ერთნაირად მოგესალმებით.

მეც სტუმარი ვარ, თქვენს შორის უნდა მივულოთ,
ერთად მოვთხოვთ დიასახლისს,
მასპინძელს ჩვენსას, შეასრულოს, რაც ევალება.

ლედი მაკბეთი: ჩემი სახელით გთხოვ მიმართო ძვირფას მეგობრებს
და განუცხადო, მიხარია მათთან მოლხენა.

მაკბეთი: პასუხად ყველას სიხარულიც გუვლითადაა..

იმხარულეთ, ბატონებო. ყველამ ერთად შევსვათ.

დიდებულები: დღეგრძელი იყოს მეფე მაკბეთი!

მაკბეთი: სამწუნაროდ, ჩვენი ბენკო არსად არა სჩანს,

გუსაყვედურო მინდა იმას მოუსვლელობა.

ეს ვინ არის? ვინა ხარ?

როსი: შეუძლოდ გახდა ჩვენი მეფე, ნომ არ დაგტოვით?

ლედი მაკბეთი: არა, დაბრძანდით, მეგობრებო, გთხოვთ ჩვენთან

დარჩეთ, ასეთი ზნე მას ბავშვობიდან გამოჰყოლია.

მაკბეთი: მე არაფრის არ მეშინია.

ლედი მაკბეთი: ისევე დაგეწყო სულელური მოლანდებები,

გახსოვს ხანჯალი-მოჩვენება,

თითქოს გზა რომ მიგითითა დანკანისაკენ.

მსგავსი ცრუ შიში შეიძლება იმ ზღაპარს ახლდეს,

რასაც ყვებიან ცეცხლის პირას
ჩვენი მონუცი ბებიები.

მაკბეთი: დამიჯერე, როგორც შენ გნედავ, ისე გნედავდი.

ლედი მაკბეთი: დავწყნარდი, ბოდავ. ბატონო ჩემო, მეგობრები
გელოდებიან.

დიდებულები: დავგდეთ პატივი, გთხოვთ დაბრძანდეთ ჩვენთან,
მეფეო.

მაკბეთი: თავისუფალ ადგილს ვერ გნედავ, აბა სად არის?
ვინ ჩაიდინა ეს, მითხარი!

ლედი მაკბეთი: ცარიელ სკამს მიშტერებინარ და რა სახე
გაქვს.

მაკბეთი: თავის ქნევა თუ შეგოილია, ხმაც ამოიდე!
რა საჭიროა სასაფლაო ანდა აკლდამა,
მიცვალელებულს თუ ვერ აკავებს.

ლედი მაკბეთი: სედავთ, რა ზნე სჭირს, თუმც საშიში
არაფერია.

სამწუნხაროა, რომ ჩავგშხამდა მხიარულეობა.

მაკბეთი: მე შენი მიკვირს:

აუღელვებლად შეგოილია უცქირო ამას.

როსი: უცქირო რას?!

ლედი მაკბეთი: ნუ ეკითხებით, უფრო და უფრო ცუდად არის.

შეკითხვები აღიზიანებს. გემშვიდობებით.

წესების დაცვის დრო არ არის, ახლავე წადით!

მაკბეთი: რა დროა ახლა?

კუდიანები: რა დროა ახლა,

ახლა ზუსტად ანტრაქტის დროა!

მეორე მოქმედება

კუდიანები: მეტი ღონე, მეტი ჯაფა, მეტი ცეცხლი ჯადო ფაფას!

შლამიანი ჭათობის გველსოკერას სუკო,
ამ ჯადოსნურ ქვაბში უნდა ჩაისრუკო.
ტრიტონის თვალი, ბაყაყის ცერი,
ხელიკის თათი და ჭოტის ბუმბული,
ჯარბის ნესტარი, ასპიტის შნამი,
ძაღლის ენა და დამურას ბეწვი,
ქვაბო, აზილე და ერთად შეწვი.

მეტი ღონე, მეტი ჯაფა მეტი ცეცხლი ჯადო ფაფას!

გველეშაბის ქერცლი და
ბოროტი მგლის ეშვი!
შენც, ჯადოქრის მუმიაგ,
ქვაბში გადაეშვი!

აი თითი, თითო ჩვილის,
მეძაგის მოკლეული შვილის:
გზისპირას დაბადებულის
და თხრილში გადაგდებულის.
ვეფხვის ნაწლაფიც დაგურთოთ ლაბში,
რომ შევასქელოთ ნახარში ქვაბში.

მეტი ღონე, მეტი ჯაფა, მეტი ცეცხლი ჯადო ფაფას!

ცერი ისე გამიშეშდა,
აქეთ მოდის ვიღაც ეშმა.
ვინც გინდა იყოს,
კარი გაიღოს.

მაკბეთი: თქვე შუადამის აღქაჯებო, ავო სულებო,
რას აკეთებდით?

კუდიანები: რას ვაკეთებდით? რაღაც საქმეს, უსათაუროს.

მაკბეთი: რა ჯადოს ძალით გამოგინხეთ, თქვენც კარგად იცით.
ასლა ამბავი უნდა შევიტყო.

კუდიანები: ამბავი?

მაკბეთი: ამბავი. გაარკვიეთ, როგორც ინებებთ:

ატენეთ თუნდაც ქარიშხალი. არ შენადგვლება.

დაანგრეთ ყველა ტაძარი,

მთელ ამ სამყაროს შევიძლიათ ლანგარი ჩასცეთ,

ჩემს შეკითხვაზე ოღონდაც კი პასუხი გამცეთ.

1 **კუდიანი:** თქვი.

2 **კუდიანი:** შეგვეკითხე.

3 **კუდიანი:** გიპასუხებთ.

კუდიანები: ჩვენ გინდა გითხრათ თუ იმან, ვისაც ვემსახურებით.

მაკბეთი: გამოიძახეთ, ერთი შევსელო.

კუდიანები: ეჩვენეთ, გული აევისოს დარდით,
ლანდებად მოდით და ისევ წადით,

ღორის სისხლი ჩაასხით,

ცხრა შვილი რომ შეჭამა,

სახრჩობელას ძელის ქონი

შთანთქმის ცეცხლის ენამა.

ეჩვენეთ, გული აევისოს დარდით.

მაკბეთი: ვინა ხარ...

ლედი მაკდაფი: ასლა რას იზამ, როგორ აპირებ, რომ
იცხოვრო?

ბავშვი: ჩიტოვით, დედა.

ლედი მაკდაფი: ბუნი და მატლი უნდა ჭამო?

შვილი: როგორც შეგძლება, ისე ვიქნები.

ლედი მაკდაფი: საბრალო ჩიტო, არ გაშინებს შენ
არც მონადირე და არც იმის ხაფანგში გაბმა?

შვილი: პატარა ჩიტებს არ უგებენ ხაფანგებს, დედა.

ლედი მაკდაფი: ღმერთო, უშველე ამ პატარას!

რას აპირებ? რას აპირებ, ჩემო მკუეღლე!

მაკდაფი: ინგლისს მივდივარ.

კუდიანები: მაკბუთ! მაკბუთ! არ ენდო მაკდაფს, ფაიფის თენს.

მაკბუთი: მადლობელი ვარ გაფრთხილებისთვის.

ეგ სიტყვები ჩემს შიშს ზუსტად ეხმიანება.

ლედი მაკდაფი: გინა ხარ?

შვილი: რადგან მამა წავიდა, ესე იგი მკვდარი არ არი.

ლედი მაკდაფი: მკვდარია.

მამა არა გყავს, შენ უმამოდ რა გეშველება.

შვილი: შენ რას აპირებ, რადგან ქმარი არც შენ არა გყავს?

ლედი მაკდაფი: რამდენსაც მინდა, იმდენს ვიყიდი ქმარს ყველა
ბაზარში.

შვილი: თუკი იყიდი, მაშინ გაყიდვაც შეეძლება.

ლედი მაკდაფი: როგორ ჭიკჭიკებ, საოცარია, რა ჭკუა გაქვს
ასეთ პატარას.

კუდიანები: კაცის ძალ-ღონეს შეგვიღია ზიზღით უცქირო,

ქალის ნაშობი შენ ვერასდროს ვერაფერს გაგნებს.

მაკბუთი: იცოცხლე, მაკდაფ, შენი თურმე არ მკუშინია.

თუმცა ურიგო არ იქნება,

თავი ორმაგად დაგიზღვით. სჯობს მოკვდე, მაკდაფ!

გული შიშით არ დაშელებე

და ტკბილი ძილი არასოდეს არ გამოიკრთება,

გინა ხარ...

შვილი: დედა, მამა მოღალატეა?

ლედი მაკდაფი: მოღალატეა.

შვილი: ეგ რას ნიშნავს, ვის ეწოდება?

ლედი მაკდაფი: გინც დაიფიცა და იცრუა, მოღალატეა
და ღირსია, რომ ჩამოახრჩონ.

შეილი: ვინც ტყუილად დაიფიცა, უნდა ჩამოახრჩონ?

მატყუარები თან სულელებიც ყოფილან,
რადგან ეგენი გაცილებით მეტნი არიან.
თვითონ მიტყვიბონ და იქით ჩამოახრჩონ ის პატიოსანი
ხალხი.

ლუდი მაკდაფი: რას როშავ, არც კი გეხმის, ჩემო პატარა.

კუდიანები: ნუ შეგაშინებს შეთქმულება.

მაკბეთს ვერაფერს მოერევა,
ვიდრე არ ავა ბინემის დიდი, უღრანი ტყე
დანსინენის მაღალ მთაზე.

მაკბეთი: ვიდრე არ ავა ბინემის ტყე დანსინენის მაღალ
მთაზე –

ეგ ხომ არასდროს არ მოხდება.
ვის გაუგია, რომ ტყე დაიძრას ადგილიდან.

ჩვენს მაკბეთს ახლა რა დარჩენია,
სიამით განგლოს დარჩენილი სიცოცხლის დღეები.

შავო ფარდავ, ბნელთ ღამევე, დაეშვი ჩქარა,
დაუხუჭე ტანჯულ დღეს თვალი
და სისხლიანი, უხილავი ხელით დაფლითე ეს სატანჯველი.
არემარეზე ბინდი ჩამოწვა,
უღაბურ ტყისკენ გაფრენილა უკვე ყორანი,
დღის სიკეთენი ხელი-ხელად ინაგლებიან,
მსგვერძელს დაექებენ მონუსხული ბნელი ღანდები,
გაგაოცათ ჩემმა სიტყვებმა.

ავი ამბავი რაკი აგორდა,
გზადავზა ძალას თვითონ მოიკრებს.

ლენოქი: შიკრიკი იყო, მაკდაფი თურმე ინგლისს გაიქცა!

მაკბეთი: ეგ ხომ ვიცოდი.

ლენტოქი: იცოდით?

მაკბეთი: კუდიანები დაინახე?

ლენტოქი: არა, მეფეო.

მაკბეთი: როგორ, ხომ გვერდით ჩაგიარეს.

ლენტოქი: არ დამინახავს.

მაკბეთი: წყევლიმც იყოს აგი ნისლი, რითიც დაქრიათ.

გაეთრიე აქედან.

ლენტოქი: ჩქარა, ექიმი! მეფეო!

მაკბეთი: მაკდაფე მართლა ინგლისს წავიდა?

საშინელ საქმეს გაპირებდი, დრომ არ მაცალა,

ახლა ჩემს გულისთქმას ხელს დავავალებ,

ამიერიდან ყველა სახლში თითო ჯაშუში შევთვლებ.

აბა წავედით...

ლენტოქი: მეფეს მისედეთ!

კუდიანები: ტახტის შემკვიდრე, მაკბეთისგან გაძევებული,

ინგლისში არის.

დიდი ბატონით მასპინძლობენ, რათა არ

იგრძნოს უფლისწულმა მუნთალი ბედის უკუღმართობა.

მაკდაფიც იქ წავიდა, რომ შეევედროს ინგლისის მეფეს,

დაახმაროს დიდძალი ჯარი.

იქნებ გვეღირსოს ჩვენ ტებილი ძილი და მოსვენება.

ნადიმს, თავშეყრას, ჩხუბი, დანა აღარ მოსდევდეს.

გინდათ სიმშვიდემ დაისადგუროს?

ვერ უღიროსებით.

მაკბეთი გადის.

მალკოლმი: ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. დრო როცა მოვა,

მდგომარეობას შევცვლი ნამდვილად,

თუმც ტირანი,

რომლის სახელსაც ვეღარ ამბობს ენა ადვილად,

ითვლებოდა წესიერ კაცად.

თქვი, ხომ გიყვარდა
და როგორც ვხედავ, შენთვის მას ხელი არ უხლია.

გამომიყენებ, გინდა რომ მსხვერპლად შემწირო
უსუსური, უმანკო კრავი.

მაკდაფი: მე მოღალატე არ ვახლავარ.

მალკოლმი: მაკბეთი იყო?

სკოტლანდიაში ბევრი მომხრე მყავს?
დვითსიერმა ინგლისის მეფემ დასახმარებლად
დიდალი ჯარი გულითადად შემომთავაზა.
მაგრამ საქმე იცი რა არის? თუნდ დაგამარცხო,
მოგვლა, აგუწო, ხმალზე ავაგო მე ტირანი,
ეს ვერ უშველის ჩვენს სამშობლოს, რადგან საბრალო
უარეს დღეში აღმოჩნდება, დაისადგურებს
უთვალავი მანკიერება. ახალი მეფე
თან მოიტანს უბედურებას.

მაკდაფი: ახალი მეფე. ეგ ვინ იქნება?

მალკოლმი: რა თქმა უნდა, ჩემს თავზე ვამბობ, სხვას არ
ვგულისხმობ.

ათასი ჯურის უკეთურება გამაჩნია.
მათ გზა რომ მივცე, ხალხს ძველი დრო მოენატრება,
შავი მაკბეთი სპეტაკ თოვლად მოეჩვენება.

მაკდაფი: თვით ჯოჯონეთის უსაშინლეს ლეგიონებშიც
ვერ იბოვი ისეთ სატანას, რომელიც მაკბეთის
ბოროტებაში გადააჭარბებს.

მალკოლმი: სისხლისმსმელია, ფლიდი, ავსორცი,

მაკდაფი: დვარძლიანი, გაუტანელი. თუკი არსებობს
რაიმე ცოდვა ბუნებაში, მასშია ყველა თავმოყრილი.

მალკოლმი: თუ ასეა, იქ, ჯოჯონეთში
რაც რამ ვაგაჩნდა ძვირფასი და სათაყვანები.

მაკდაფი: მე მოღალატე არ ვახლავარ.

მალკოლმი: იქნება ცამდე მართალი ხარ, მე არ გეცნობი.

მაკდაფი: ჩემო ქვეყანავ, დაიცალე სისხლისგან ბარემ.

ბაგში: დედა, მამა მოღალატეა?

მაკდაფი: მიდი, გაღალდი ბოროტებავ. ფრთები გაშალე
და იბატონე, ტირანიავ, როგორც გეხება?

ლედი მაკდაფი: ჰო, ბატარა, მოღალატეა.

მაკდაფი: სად აქვს სიმართლეს იმის ძალა, შენ შეგებრძოლოს.

ბაგში: ეგ რას ნიშნავს, მოღალატეა.

მაკდაფი: საცოდავი ჩემი ქვეყანა, თავის თავს უკვე თვითონაც
ვერ ცნობს,

არ დარჩა მისგან არაფერი, ალბათ უფრო საფლავი ეთქმის.
კაცს ვერ ნახავ, რომ სახეზე ღიმილი ჰქონდეს,
მხოლოდ გოდება გაისმის ყველგან.

მეფობა არ სურს კანონიერ ტახტის მემკვიდრეს,
განზე გამდგარა შერისხული საკუთარ ნებით.
უბედურო საბრალო ხალხთ, რა გეშველება,
არ გეკიდრება შენ არასდროს მშვიდი ცხოვრება.

თქვენ კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონიშვილო.

მალკოლმი: ნახე ვინ მოდის!

მაკდაფი: როს!

მალკოლმი: სკოტლანდიაში ყველაფერი ისევე ისეა?

როსი: საშინელი ამბები ხდება.

მალკოლმი: ყველაზე ცუდი უახლესი ამბავი გვითხარ.

როსი: ერთი საათის წინანდელიც უკვე ძველია,
რადგან ყოველ წუთს შესაძლოა ახალი მოხდეს.

მაკდაფი: ჩემი მეუღლე როგორ არის?

როსი: ის კარგად არის.

მაკდაფი: ჩემი შვილები? ჩუმად რატომ ხარ?

როსი: მეშინია, არ შემიძულთ, თუკი შევძელი, რომ გაამბო მათი
ამბავი.

როსი: გეძუდარები, როგორც ნათესავს,
ქმარს გაუგე. ღირსეული კაცია იგი, სამართლიანი.

მშვენივრად იცის, როგორ უჯობს ახლა მოქცევა.
სწავს ვერას გეტყვი, სამწუნაროდ, მძიმე დრო დადგა.

ლედი მაკდაფი: გვიწოდებენ მოღალატეებს, არ ვიცით რატომ.
ჭირი აგორდა ქვეყანაში, ყველგან შიშს თესავს,
ოღონდ რა შიში გვეუფლება, ვერ გაგვიგია.

როსი: მე, მითმინება უნდა გქონდეს.

ლედი მაკდაფი: იმას ჰქონდა!
რა სიფიქვა: არაფერი ჩაუდენია,
უბრალო შიშმა მოღალატედ გადააქცია.

როსი: შიში ეთქმის თუ გონიერება, არავინ იცის.

ლედი მაკდაფი: გონიერება?! მიატოვო ცოლი, შეილეუბი,
ყველაფერი, რაც გაგაჩნია
და სადღაც შორს გადაიკარგო?!
ჩვენ რომ ვუყვარდეთ, ამას ვერაფრით ვერ შეძლებდა.
სუსტი ნიბლიაც, რომლის ღონე აბა სად მოვა ჭოტის
ძალასთან,

თავგამოდებით დაიცავდა ბუდეს და ბარტყებს.
სად არის, მითხარ, სიყვარული,
შიშმა უბიძგა. მის საქციელში სიბრძნეს ვერ ვხედავ.

როსი: იმედი გვქონდეს, ყველაფერი გამოსწორდება,
აი ეს იყო, ქმარს გაუგე!

ლედი მაკდაფი: ბავშვს მამა ჰყავდეს და არ ჰყავდეს,
არ გამიგია.

მაცნე: ღმერთმა დაგლოცოთ, ქალბატონო!

ლედი მაკდაფი: ვინა ხარ?

მაცნე: თქვენ მე არ მიცნობთ.

და თუ მენდობით,
უნდა გაცნობოთ, რომ სიფათი გახსლოვდებით.
გაცეალეთ აქაურობას, ახლავე, სწრაფად!
ბავშვთან ერთად. თქვენი ესოდენ შეშინება
კარგად მესმის, სისასტიკეა, მაგრამ მერწმუნეთ,
უარესი კარს მოგდგომიათ... გაიქცით!

ლუდი მაკდაფი: საით გავიქცე? ანდა რატომ, რა დავაშავე?
თუმცა რა მიკვირს, ამ ჩვენს ცოდვილ დედამიწაზე
ბონოტებას ხოტებას ასხამენ,
ხოლო სიკეთეს კი ჩაქოლვით ეშუქებთან.
მაშ რას დაგმდგარვარ და ვკითხულობ: „რა დავაშავე“.

მკვლეელი: მამაშენი ახლა სად არის?

ლუდი მაკდაფი: იმედია, ისეთ დაწყევლილ ადგილას არა,
რომ მისწვდებოდეს შენისთანას ბინძური ხელი.

მკვლეელი: მამაშენი მოღალატეა!

უფილი: დედა, მე მომკლეს.

მაკდაფი: ღმერთო, ხედავდი, რა ხდებოდა და არ მიეშველე?!

მალკოლმი: ამიერიდან შენი სიტყვა კანონი არის
და ჩემი თავიც მომინდვია, საკადრისი ბასუნი უნდა.

მაკდაფი: მიიღებს კიდევ, მაკბეთ, მოგდივართ.

შენი დღეები დათვლილია.

კუდიანები: გაირკვა ბოლოს, ეს მკვლელობა ვინ ჩაიდინა?
აღბათ ამ ჩვილმა.

როგორ, თავის თავი თვითონვე მოკლა?

არა, ჯერ დედა მოკლა, ხოლო ბოლოს თავი მოიკლა.

საოცარია, დაუჯერებელს უფრო ვიჯერებთ, ვიდრე
სიძარბოებს.

არ გახსოვს, მეფე დანკანი მაკბეთმა ისე გამოიტირა,
კიდევ კარგი, რომ მკვდარი იყო ჩვენი მეფე და არ
ესმოდა.

მამაცი ბენკო?! ბნელ ღამეში რას დადიოდა,
არა, არ ვარგა სიარული დაღამებულზე!

ბუნების ძალაგ, მოწყალე თვალთ გადმოსედე ჩვენს
ქვეყანას,
ნუთუ ვერ სედაგ,რა დღეშია ტირანის ხელში.

მაკბეთი: აღარაფერი აღარ მითხრათ, მომშორდეს ყველა.
ვიდრე ბინემის ტყე არ მოვა დანსინეინში,
არ მეშინია. რა უნდა მიქნას იმ მალკოლმმა?
ის ნაბიჭვარიც ხომ დედამ შობა!

რად მიღალატეთ, ჩემო თენებო.
ახლა წადით და იმ უხნეო ინგლისელებთან გაერთიანდით.
ჩემი გონება, ჩემი გული, მტკიცე დარჩება,
შენ რაღა დაგეძართა, ბატს რატო გაგხარ?

1 კუდიანი: მოდის, ათი ათასი..

მაკბეთი: ბატი?

2 კუდიანი: ჯარისკაცი. ინგლისელები მოდიან სერ,
ინგლისის ჯარი!

მაკდაფი: დიდებულებო, ის დღე აღბათ მალე დადგება,
ჩვენს ჭერქვეშ როცა ყველას მშვიდად დაგვეძინება.

მალკოლმი: ტირანი რას იქმს?

როსი: გამალებით აშენებს ციხეს. შეიშალაო, ასე ამბობენ.

მაკდაფი: ვისაც იგი ნაკლებად სძულდა, გაიძახიან,
ეს გაშმაგება სიმამაცის ნიშანიაო.

ერთი ცხადია, თავს ვერაფრით ვერ იმორჩილებს.

როსი: ეს რა ტყე არის?

მაკდაფი: ბინემის ტყეა.

მალკოლმი: დაატყნეთ ხეებს ტოტები.

როცა შევუტევთ, ჯარისკაცებმა აიფარონ.

მტერს მოვატყუებთ.
ასე ჩუმად მივეპარებით.

მოსახდენი დღესვე მოხდება.

მაკბეთი: ცხოვრებამ აზრი დაკარგა.

აქვთ სიბერეში

სიყვარული, პატივისცემა, ჰყავთ მეგობრები.

მე არაფერი არ მექნება.

სამაგიეროდ ხალხი მწყევლის, თუმცა, უნდა ითქვას,
მხოლოდ ზურგსუკან. ფარისევლები!

შიში კაცს რას არ აკეთებინებს.

მხედრები უნდა დავაგზავნოთ ყველა კუთხეში.

შიშით შეპყრობილს თუ ნახავენ – სასრჩობელაზე!

თქვენს აგადმყოფს რა სჭირს, ექიმო?

აგად არ არის? აწუხებენ მოლანდებები?

ჰოდა, მაგისგან უნდა განკურნოთ. გელარ შევლით,

როცა გონება სწეულდება? მიდით, მოკვდით

სევდის მიზეზი მენსიერებას. ამოგლიჯეთ,

ამოაცალეთ აღბეჭდილი ტვინში ნაღველი.

წამალი რამე მოუძებნეთ, რომ დააწყნაროს

და გულზე ლოდი მოაშოროს. არ შეგიძლიათ?

რის მაქნისია მაშ წამალი, ძაღლებს მიეცით!

როგორ თოვს!

მოდით, ჩამაცვი საჭურველი! კვერთხი სად არი!

ეს გამზადეთ, რა!

ქეძო, იცოთ, მიმატოვეს ჩემმა თენებმა.
ნეტავ შეგეძლოთ დიაგნოზის დასმა ქვეყნისთვის,
გაგეგოთ რა სჭირს... რა წამალი მოუხდებოდა...

რით ვუძკუნალოთ?! მივცეთ რეგანდი, სინამაქი.
სასაქმებელი!

დაიხ, ნამდვილად ეგ გვჭირდება. კარგად გაგვწმინდოს
ჩვენი მტრისაგან.

მე არაფრის არ მეშინია.

ჩემი არც მოკვლა, არც მოწამვლა არ გამოგივათ.
ბინემის ტყე დანსინენში თუ არ მომივა.

მაკბეთი თავისით ვადის.

ლუდი მაკბეთი: მომშორდი, წყეულო ლაქა, მომშორდი-მეთქი!
ჯოჯოხეთში რა სიბნელეა! სირცხვილი, ჩემო მკუდლეკო,
მეომარი და შმიშარა?!
გაიფებენო, გეშინია? ვინ იფიქრებდა, ბებერს ამდენი სისხლი
ქნებოდა!
ფაიფის თენს ცოლი ჰყავდა. ახლა სად არის?
ოთჰ, ამ ხელებს რამე გაასუფთავენს!? ისევ სისხლის სუნი!
მთელი არაბეთის ნელსაცხებლებიც ვეღარ მისცემენ ამ
პატარა ხელს
ტკბილ სურნელებას. სისხლი. სისხლი.
ხელები დაიბანე. დამის სამოსი ჩაიცვი. ნუ ხარ ასე
გაფითრებული. რამდენჯერ გითხრა, ბენკო დამარხეს.
საფლავიდან ვერ წამოდგება. წყალი. წყალი.

დავწვეთ, დავწვეთ! რაც მოხდა, მოხდა.
აღარაფერი ეშველება. სისხლი. სისხლი.

დავიძინოთ, დავიძინოთ!
დედოფალი გარდაიცვალა.

მაკბეთი: რა დროს ეგ იყო. მოეცადა, რა იქნებოდა,
სიკვდილს ისედაც მოასწრებდა. ეჩქარებოდა?
ამ საქმისათვის უკეთესი დრო დადგებოდა.

კუდიანები: როდის?

მაკბეთი: სვალ, მაგალითად. ან იმის სვალ. ანდა იმის სვალ.

რატომ ვესწრაფვით სვალს, სვალს, სვალს.
დღე წლაწვნივით გადის, მაგრამ მაინც ტოვებს გუშინდელს,

ამასობაში დგება წამი უკანასკნელი,
და მაშინ ვხვდებით: დღე გუშინდელი, მხოლოდ გზა არის,
განათებული ბრწყინებისთვის, რათა მივიდეთ,
სადაც მიწად უნდა მივიქცეთ.

მოკლე სანთელი,
ჩაქნი ბარემ! ჩვენი ცხოვრება თურმე ლანდია,
როგორც საწყალი მსახიობი, სულ სცენაზეა,
თინბაზობს, ვიდაცას ართობს, მაგრამ ბოლოს ის
არაფის ახსოვს:

ეს ყველაფერი იდიოტის მონათხრობია,
სავსე ხმაურით და მძვინვარებით.
აწრს ვერ გაიგებ, რადგან მე თვითონ
თავი და ბოლო ვერ გავარკვიე:

რა ხმაურია...

შიკრიკი: ტყე დაიძრა! ბინემის ტყე დაიძრა!

მაკდაფი: თვალი გამისწორე პირსისხლიანო!

მაკბეთი: შენთან შეხვედრა არ მინდოდა. გთხოვ, გამეცალო.

როგორც ჰაერს, ისე ჩემს სხეულს,

ვერას დააკლებს ბასრი მახვილი.

რადგან მიცავს ჯადო-თილისმა

და ჩემი მჯობი ვერ გახდება ქალის ნაშობი.

მაკდაფი: გაგცუდება მაშინ თილისმა: იმ აღქაჯებმა,

ვისაც ასე ემსახურები, არ მოგახსენეს,

რომ მაკდაფი დროზე ადრეა ამოკვეთილი

დედის მუცლიდან.

კუდიანები: ჩვენ სამნი ისევე როდის შეგნვდებით?